2901-გ-3-202405011617

N 2901-გ 01.05.2024

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **„ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (I2Q)**
განმახორციელებელი: **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
მისამართი: **დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი, საქართველო**
ტენდერის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **# IBRD/I2Q/CW/NCB/19-2023-2**
კონტრაქტის დასახელება: **სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)**
ქვეყანა: **საქართველო**
შერჩევის გამოყენების მეთოდი: **ეროვნული საბაზრო მიდგომა**
სამუშაოების ხანგრძლივობა: **15 (თხუთმეტი) თვე**
შეფასების ვალუტა: **ლარი**
საკონტრაქტო ღირებულება: **2,074,253.34 ლარი**

ტენდერში მონაწილე კომპანიები:

1. შპს „მანე ქონსტრაქშენ“
2. შპს „ჰიდრომშენი“
3. შპს „ალიანს ბილდერს“
4. შპს „მგდ“
5. შპს „ურბან ბილდერს“

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება: **შპს „მგდ“**
ფაქტიური მისამართი: **საქართველო, თბილისი, სპირიდონ კედიას ქ. N10**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **2,074,179.00 ლარი**
შეფასებული ფასი: **2,074,253.34 ლარი**
საკონტრაქტო ფასი: **2,074,253.34 ლარი**

შეფასებული კომპანიები:

დასახელება: **შპს „ჰიდრომშენი“**
ფაქტიური მისამართი: **საქართველო, თბილისი, გლდანის II მ/რ., კორპ. №28. ბ. 88**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **2,116,741.05 ლარი**
შეფასებული ფასი: **2,116,741.05 ლარი**

დასახელება: **შპს „ალიანს ბილდერს“**
მისამართი: **საქართველო, ქ. ბოლნისი, ქ. ჩოლოყაშვილის #2**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **2,109,187.06 ლარი**
შეფასებული ფასი: **2,108,387.34 ლარი**

დასახელება: **შპს „ურბან ბილდერს“**
ფაქტიური მისამართი: **საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N 47, ბინა 22**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **2,070,673.00 ლარი**
შეფასებული ფასი: **2,236,809.67 ლარი**

<u>დისკვალიფიცირებული კომპანია:</u>

დასახელება: **შპს „მანე ქონსტრაქშენ“**
მისამართი: **საქართველო, თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა #121**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **2,150,928.00 ლარი**
დისკვალიფიკაციის მიზეზი: **პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია შეფასების საწყის ეტაპზე, ვინაიდან არ დააზუსტა საწყისი და ტექნიკური ეტაპისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაცია.**

პროექტის მოკლე აღწერილობა:

პროექტი მოიცავს, სოფელ ყარაჯალას საჯარო სკოლის შენობის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. გათვალისწინებულია შენობის გადაგეგმარება, ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა ადმინისტრაციული, ჰიგიენური, საერთო დანიშნულების ოთახების გამოყოფა. ყველა არსებული კედლები და იატაკები სრულად იქნება გასუფთავებული ძველი მოპირკეთებისგან და შეიცვლება ახლით პროექტის შესაბამისად. ასევე, შეცვლას ექვემდებარება შენობის ფასადის მოპირკეთების ელემენტები, გადახურვის ბურული და წყალარინებითი ელემენტები პროექტის შესაბამისად. პროექტით გათვალისწინებულია ლიფტის მშენებლობა შენობის გარე ფასადზე, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთათვის ყველა სართულზე მისაწვდომობას. გათვალისწინებულია სკოლის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს განათების ბოძების, წყლის სოკოს, გამწვანების, ჩარდახების, სპორტული მოედნის რეაბილიტაციას. ასევე შეიცვლება ეზოში არსებული ასფალტის ბილიკები ახლით. დამონტაჟდება ბეტონის პანდუსები შშმ პირთათვის. პროექტით გათვალისწინებულია არსებული საქვაბე შენობის დემონტაჟი და ახალი საქვაბე შენობის აშენება.

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია